

როგორ დავეხმაროთ ბავშვს?

რა არის მათემატიკური აზროვნება?

გკონდეს მათემატიკური აზროვნების უნარი, ნიშნავს ეფექტურად გამოიყენო მათემატიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რატომ არის მნიშვნელოვანი მათემატიკური აზროვნება?

მათემატიკური აზროვნება გაძლევს შესაძლებლობას განავითარო ლოგიკური აზროვნება და მსჯელობის სტრატეგიები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ გვჭირდება მათემატიკური აზროვნება პრობლემების გადასაჭრელად და იმისთვის, რომ მივხვდეთ დროს, რიცხვებს, ნიშნებს. უცნაურია, მაგრამ მათემატიკური აზროვნება გვეხმარება, ასევე, ისეთი აქტივობების შესრულებაში, როგორცაა საჭმლის კეთება, რუკებისა და ქვითრების კითხვა, ინსტრუქციების გაცნობა და თავად სპორტიც კი.

ბავშვის მათემატიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობის ხერხები

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების მოტივაცია იზრდება და მიღწევები უმჯობესდება, როცა მშობლები ან აღმზრდელები ჩართულნი არიან განათლების პროცესში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მათემატიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობისათვის ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი..

წარმოგიდგინოთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- ხელი შეუწყვეთ თქვენს შვილს გამოიყენოს მათემატიკური ენა: „რამდენად ბევრი“, „რამდენად დიდი“, „რამდენად პატარა“, „რამდენად მეტი“ და ა. შ.;
- განიხილეთ რიცხვების, ნიშნების და ფორმების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში - იპოვეთ რიცხვები წიგნებში, სივრცული ნიშნები ან ფორმები სათამაშო მოედანზე, სახლში ან არქიტექტურაში;
- ესაუბრეთ ბავშვს, როგორ იყენებთ მათემატიკას ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად: საჭმლის მომზადების პროცესში, რუკების კითხვაში, სპორტში და ა. შ.;
- გააანალიზეთ ისეთი სიტუაციები, როცა ვიყენებთ ფულს, მაგალითად: საყიდლებზე წასვლა, ბიუჯეტის შედგენა, საბანკო ბარათების გამოყენება და სხვა;
- გამოთვალეთ, გაზომეთ და შეადარეთ სიგრძე, წონა, მოცულობა. რას უდრის თაროს სიგრძე, რამდენად მძიმეა ან მსუბუქი ესა თუ ის ნივთი და რამდენს დაიტევს ჭურჭელი;
- ისაუბრეთ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზაზე;
- აიღეთ სიგრძის, მასის საზომი ხელსაწყოები, რომლებსაც თქვენ ყოველდღიურად იყენებთ საოჯახო საქმიანობისას, მაგალითად: „სანტიმეტრი“, სამზარეულოს სასწორი და განიხილეთ საზომი ერთეულები;
- ამა თუ იმ სიტუაციაში ჰკითხეთ: „აქვს თუ არა ამას აზრი?“ „ეს პასუხი მისაღებია?“ ან „სხვანაირად როგორ შეგვიძლია ეს გავაკეთოთ?“;
- გამოიყენეთ ცხრილები, კალენდრები და საათები სხვადასხვა მიზნისთვის, მაგალითად: პერიოდის განსაზღვრისთვის, არდადეგების დასაგეგმად და სასურველი სამარშრუტო ნომრის მქონე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებლად;
- დაეხმარეთ თქვენს შვილს გაარკვიოს რა ღირს ესა თუ ის ნივთი და გამოითვალოს თუ ეკუთვნის ხურდა;
- შესთავაზეთ ბავშვს რიცხვებით თამაში ჟურნალების, წიგნების, გაზეთებისა და ავტომობილების სანომრე ნიშნების გამოყენებით;
- დაალაგეთ, დაახარისხეთ და დათვალეთ ნივთები, მაგალითად: სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელი, ფენსაცმელები...



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საპარმელონ დანფინიონი ბანათლემის პროექტი